ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N 09/2019 15.03.2019

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო მინისტრო,

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის შპს „ნევრონის“ ხელმძღვანელის ბატონი გრიგოლ ორმოცაძის გარდაცვალების შემდგომ დაწესებულების კოლექტივმა საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოებას მოგვმართა თხოვნით, რომ რეკომენდაცია გაგვეწია ქალბატონი ნონა მურვანიძის კანდიდატურისთვის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის შპს „ნევრონის“ დირექტორის თანამდებობაზე.

ქალბატონი ნონა მურვანიძე არის საზოგადოების წევრი 1986 წლიდან. მას აქვს როგორც პრაქტიკოს ექიმად, ასევე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. 2004-2011 წწ იგი იყო ყოფილი მიხეილ ჩაჩავას სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში. ათეულ წელზე მეტია ქალბატონი ნონა მურვანიძე მუშაობს ექიმ-ფსიქიატრად აღნიშნულ დაწესებულებაში. 2014-2017 წწ იგი იყო ლანჩხუტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.

იგი გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით და მაღალი პასუხისმგებლობით. მუდმივად მუშაობს პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე და აქვს არაერთი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ჩვენთვის დიდი პატივია გავუწიოთ რეკომენდაცია ქალბატონ ნონა მურვანიძეს ლანჩხუთის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის შპს „ნევრონის“ დირექტორის თანამდებობაზე და დარწმუნებულები ვართ, რომ მისი მოღვაწეობა ამ პოზიციაზე წარმატებული იქნება.

პატივისცემით,
ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების
თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com